

ილია (ილიკო) ქურხული

ილია (ილიკო) ქურხული 1885 წლის 7 აპრილს (ძვ. სტ. 25 მარტი) ტფილისში “სურფ-კარაპეტის ხევის” ერთ-ერთ სახლში (ჩუღურეთის რაიონი) დაიბადა. მამა სოფელ საგარეჯოს გლეხის შვილი იყო და ოჯახს მწევმსობით არჩენდა, ხოლო დედა კი კუმისელი მეზურნების შთამომავალი. ილიკოს დაბადებამდე შშობლები თბილისში გადმოვიდნენ საცხოვრებლად. სიდარიბისთვის თავი, რომ დაეღწიათ მამამისმა ძეხვის ქარხანა გახსნა. როდესაც ილიკო წამოიზარდა, იგი სასულიერო სასწავლებელში მიაბარეს, მაგრამ მისთვის უფრო საინტერესო ქალაქში კუნძულ მადათოვზე ეზო-ეზო მოხეტიალე მესტვირები, ეგრეთ წოდებული დარიკოს “ბალაგანი” უფრო იყო ვიდრე სასწავლებელში განათლება, ამიტომ თავისუფალ დროს სწორედ ამ “ბალაგანში” ატარებდა. თავად ილია ასე იხსენებდა ბავშვობაში გატარებულა ამ წლებს – “თავისუფალ დროს სულ ამ ბალაგანში გიჯეჭ და ისე არ მაიტერებებდა კლოუნ-აკრობატ-ფოკუსნიკების თამაში, როგორც მათი კულისური ცხოვრებათ”. ერთ-ერთი დღეს, როდესაც სასწავლებელთან ახლო მდგომ ტაძარში წირვა უნდა ჩატარებულიყო, ილიკომ გადაწყვიტა, რომ ეს “ბალაგანის” ნაწილი იყო და რიტუალში მონაწილეობის მიღება მოინდომა, გაშალა ხელები და “ლეგური” ჩამოუარა. განრისხებულმა მრევლმა ტაძრიდან გამოაგდო და ერთი, ორი უთავაზეს კიდევ. იმ დღიდან დამთავრდა სასულიერო სასწავლებელში მისი სწავლა-განათლება, ხოლო ნამდვილი ქართული თავტრის სტუმარი კი ძალიან ხშირად იყო. რასაც ტფილისის ქართულ თეატრში ისწავლიდა, სოფელში სტუმრობის დროს თანატოლ გოგო-ბიჭებს უზიარებდა და შეკრებილი მოხალისეთა გუნდის მონაწილეობით საბქელში წარმოდგენებს მართავდა. როცა წამოიზარდა დრამატული დასიც კი ჩამოაყალიბა და ახლო-მახლო მდებარე სოფლებში დაიწყო წარმოდგენების მართვა. სწორედ ასეთ სახელდახელოდ შექმნილ დასში დახელოვდნენ – კოლია გვარაძე და ვიქტორ მატარაძე. ილია ქურხულმა მოგვიანებით მუსიკალურ სკოლაში გააგრძელა სწავლა, მაგრამ მისი დამთავრებაც ვერ შეძლო და 1904 წელს მოსკოვში გაემგზავრა, სადაც ფილარმონიულ-კონსერვატორიაში ვიოლინოს სპეციალობით ბ. სიბორის კლასში ჩაირიცხა.

1906 წელს იგი სასწავლებლიდან გამორიცხეს რის შემდეგაც დაიწყო მისი მოხეტიალე მუსიკოსის მოდვაწეობა. თავიდან ი. ქურხული კლასიკური სავიოლინო - ლიტერატურულ ნიმუშებს (პატარა პიესებს) ასრულებდა, შემდეგ რეპერტუარი უკვე

ქართული ხალხური მელოდიებით გაამდიდრა. შემოიარა რუსეთი და უკრაინა. უკრავდა ვიოლინოზე და კლასიკური რეპერტუარით მოსკოვის დარიბ-დატაკ უბნების ეზოებში გამოდიოდა. თავად ილიკო ასე იხსენებს ამ როულ დროს – “**ხახლის პატრონები მაგრებლები ეზოებიდან, მუეზოვენი მცემდნენ, პოლიცია მატუსაღებდა, ამხანაგ-მეგობრები ახლო აღარ მეკარებოდნენო**”. ასეთი მძიმე ყოფის მიუხედავად ილიკო ქურხულმა რამდენომე წლის განმავლოვაში რამდენჯერმე იმყოფებოდა მოსკოვსა. აგრეთვე ბელორუსიაში, ბალტიისპირეთიში, პოლონეთსა და ფინეთში.

1913 წელს დაბრუნდა საქართველოში და ფეხით შემოიარა მთელი საქართველო. გამოდიოდა ეზოებში, კლუბებსა და სკოლებში. 1916 წელს მოსკოვში მოეწყო სრულიად რუსეთის სახალხო ოქატრების პირველი სხდომა, რომელშიც ი. ქურხული მისივე მოხსენებით იყო მიწვეული, სადაც მან დარიბ-დატაკი ხალხისთვის თეატრის აშენება მოითხოვა. სამწუხაროდ მისი იდეა განუხორციელებელი დარჩა.

1921 წლის ზაფხულში იმუამინდელი ხელისუფლების სურვილითა და დახმარებით მეუღლესთან ერთად იმოგზაურა ევროპაში. პირველად თურქეთსა და ბალკანეთის ქვექნებს ეწვია. 1922 წელს კი სოფიაში გადავიდა.

სხვადასხვა გაზეთებსა თუ ჟურნალებში იბეჭდებოდა მისი ფელებონები. მოხეტიალე მუსიკისის გზაზე შეგროვილი მასალების მეშვეობით დაწერა სამი წიგნი – “ბულგარეთში”, “ვარსკვლავთა კაშაშზე, ბულბულთა ენაზე, “ლაშვარდ საქართველოზე” და “ყარყატისეული სალამური”. ილიკო ქურხული ერთხანს პარიზშიც ცხოვრობდა.

1927 წლიდან კვლავ საქართველოში დაბრუნდა და გააგრძელა მუსიკალური მოდგაწეობა. პერიოდულად კონცერტებზე მესტვირე ბ. ბურდულაძესთან ერთად გამოდიოდა. მუშაობდა ქართული ხალხური საკრავების სტვირის, ფანდურისა და ჩანგის გაუმჯობესებაზე. 1930 წელს მოსკოვში მონაწილეობა მიიღო საკავშირო პირველ ოლიმპიადაზე.

აქტიური, ნაყოფიერი და მრავალწლიანი მოდგაწეობით უდიდესი კვალი დატოვა ილია (ილიკო) ქურხულმა ქართული ხალხური შემოქმედების წინაშე. იგი თბილისში 1954 წლის 24 სექტემბერს გარდაიცვალა.

ხელოვნების სასახლის ხელნაწერთა და საარქივო დოკუმენტთა ფონდში დაცულია ილია ქურხულის შემოქმედებითი და საზოგადოებრივი მოდგაწეობის ამსახველი მასალა, რომელიც მკვლევართათვის მეტად საინტერესო და მნიშვნელოვანია.

ილია ქურხულის პირადი საარქივო ფონდი

ბიოგრაფიული და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ამსხველი მასალა

ავტობიოგრაფია, კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი

1. ილია (ილია) ქურხულის ავტობიოგრაფია.
1939 წ. 2 მარტი. ავტოგრაფი. მელანი. 15 გვ.
2. ი. ქურხულის ბიბლიოგრაფია – 1885 – 1954 წწ. (ერთგის განცხადება კულტურის სამინისტროსადმი)
1953 წ. ნაბეჭდი. აკინძული. 62 გვ.
3. ი. ქურხულის კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი.
21 თებერვალი. ბლანკი. ხელით შევსებული. მელანი. 4 გვ.
4. ი. ქურხულის მოკლე ბიოგრაფია.
უთარიდო. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

დახასიათებები

5. გორის რაიონის სოფელ სკრის საშუალო სკოლის დირექტორ – ი. ტოგონიძის მიერ გაცემული ი. ქურხულის დახასიათება, პედ-მსატგრული მუსიკალური დილის გამართვასთან დაკავშირებით.
1946 წ. 6 აპრილი. ხელნაწერი. შავი მელანი. 1 გვ.
6. დიმიტროვის სახელობის ქარხანა-მაღაროს დირექტორ ვ. სამხარაძის მიერ გაცემული ი. ქურხულის დახასიათება, ამავე ქარხნის კლუბში გამართული ლექციის შესახებ.
1946 წ. 26 ივნისი. ნაბეჭდი. 1 გვ.

7. ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის პროფესორ კ. მელვინეთუხუცესის მიერ გაცემული დახასიათება, ი. ქურხულის მიერ წარდგენილი გაუმჯობესებული სვანური ჩანგის სახალხო სიმღერის გუნდებში გამოყენების შესახებ.

1946 წ. 9 აგვისტო. ნაბეჭდი. ავტოგრაფი. მელანი. 2 გვ.

8. საქართველოს კულტურის მინისტრ რ. შადურის მიერ გაცემული დახასიათება ი. ქურხულის შემოქმედებითი მოღვაწეობის შესახებ.
უთარიდო. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

ბრძანებები

9. ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროს – ბ. გოგუას მიერ გაცემული ბრძანება ი. ქურხულის აგიტ-მუსიკალური მოძრავი რონოდას (ვაგონი) ხალხური შემოქმედების სახლში გადაყვანის შესახებ.

1939 წ. 22 ოქტომბერი. ნაბეჭდი. 1 გვ.

10. ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროს – ბ. გოგუას მიერ გაცემული ბრძანება, ი. ქურხულის საქმიანობის გამოსარკვევად კომისიის გამოყოფის შესახებ.

პირი: რამიშვილი, კოკელაძე, გოგიელი.

1940 წ. 19 აგვისტო. ნაბეჭდი. 1 გვ.

11. ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროს – ბ. გოგუას მიერ გაცემული ბრძანება ი. ქურხულისათვის ხელოვნების საქმეთა სამმართველოდან ხელფასის შეწყვეტასა და თანხის შეგროვების მიზნით ეზოებში გამოსვლის აკრძალვასთან დაკავშირებით.

1940 წ. 12 სექტემბერი. ნაბეჭდი. ასლი. 1 გვ. 2 ეგზ.

12. ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროს ბ. გოგუას მიერ გაცემული ბრძანება ი. ქურხულის ხელოვნების საქმეთა სამმართველოს დაქვემდებარებიდან გათავისუფლების შესახებ.

1940 წ. 19 ნოემბრი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

ცნობები

13. გორის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის დირექციის მიერ გაცემული ცნობა, ი. ქურხულის მიერ უსასყიდლოდ გამართული ერთი ლექციის შესახებ.
1946 წ. 19 მარტი. ნაბეჭდი. 1 გვ.
14. ჭიათურის სახელმწიფო თეატრის დირექციის მიერ გაცემული ცნობა, ი. ქურხულის მიერ ჩატარებული კონცერტის შესახებ.
1946 წ. 29 ივლისი. ხელნაწერი. მელანი. 1 გვ.
15. ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკის რაიონული საბჭოს მდივნის მიერ გაცემული ცნობა, ი. ქურხულის მიერ უფასო კონცერტებისა და სადამოების ჩატარებასთან დაკავშირებით.
1946 წ. 29 ივლისი. ნაბეჭდი. რუსუსლ ენაზე. 1 გვ.
16. სოფელ ჭვინთის 8 წლიანი სკოლის დირექციის მიერ გაცემული ცნობა, ი. ქურხულის მიერ მუსიკის ირგვლივ ჩატარებული ლექციების შესახებ.
1946 წ. 11 სექტემბერი. ავტოგრაფი. მელანი. 1 გვ.
17. ახალციხის რაიონის სოფელ სვირის 8 წლიანი სკოლის დირექციის მიერ გაცემული ცნობა, ი. ქურხულის მიერ 2-ჯერ ჩატარებული მუსიკაში პედაგოგიური აღმზრდელობითი გაკვეთილების ჩატარებასთან დაკავშირებით.
1946 წ. 13 სექტემბერი. ავტოგრაფი. მელანი. 1 გვ.
18. ახალციხის რაიონის სოფელ წნისის 8 წლიანი საშუალო სკოლის დირექციის მიერ გაცემული ცნობა ი. ქურხულის მიერ ჩატარებულ მუშაობასთან დაკავშირებით.
1946 წ. 18 სექტემბერი. ავტოგრაფი. მელანი. 1 გვ.

მიმართვები

19. საქართველოს განათლების მინისტრ ვ. კუპრაძის მიმართვა ხელოვნების

საქმეთა სამმართველოსთან არსებულ სარეპრტუარო კომიტეტისადმი,
გაუმჯობესებული სვანური ჩანგის სკოლებში გამოყენების შესახებ.
1946 წ. 1 აგვისტო. ნაბეჭდი. ხელს აწერს – ვ. კუპრაძე. 1 გვ.

20. საქართველოს სახელმწიფო კონსერვატორიის ლარებისა და მუსიკალური
საკრავების ოსტატ კ. ჩილინგაროვის მიმართვა სარეპრტუარო კომიტეტის
უფროს დ. ბენაშვილისადმი, გაუმჯობესებული სვანური ჩანგის სკოლებში,
გაღობის გაღობის მასწავლებლთათვისა და კამერულ მუსიკაში გამოყენების
შესახებ.

1946 წ. 7 აგვისტო. ნაბეჭდი. 1 გვ.

21. დ. არაყიშვილის მიმართვა დ. ბენაშვილისადმი, სკოლებში გაუმჯონესებული
სვანური ჩანგის გამოყენების შესახებ.

1946 წ. 9 აგვისტო. ნაბეჭდი. ავტოგრაფი. მელანი. 2 გვ.

განცხადება

22. ი. ქურხულის განცხადება განათლების კომისარიატის ხელოვნების
განყოფილებისადმი, მუშაობისთვის ხელის შემწყობი პირობებისა და ფინანსების
გამოყოფის შესახებ.

1932 წ. 16 მაისი. ავტოგრაფი. მელანი. 1 გვ.

მოხსენებითი ბარათი

23. ი. ქურხულის მოხსენებითი ბარათი ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროს
ი. დოლიძისადმი, სკოლებში გაუმჯობესებული სვანური ჩანგის გამოყენების
შესახებ.

1949 წ. 25 აგვისტო. ნაბეჭდი. 4 გვ.

შემოქმედებითი მოღავწეობის ამსახველი მასალა
ჩანაწერები

24. ი. ქურხულის ჩანაწერი 80 გასვლითი შემეცნებითი გაკვეთილების შესახებ.
1946 წ. 18 აპრილი - 20 სექტემბერი. ავტოგრაფი. 1 გვ.

ნაშრომი

25. ი. ქურხულის ნაშრომი – “მსოფლიო მოხეტიალე მეგულთაენეს ნაწერები”. ტომი – I-VII.
1938 წ. ნაბეჭდი. ქართულ და რუსულ ენებზე. ჩასწორებებით. აკინძული. 8 გვ.

საქართველოს სოფლებში გამართული ლექციების შესახებ შთაბეჭდილებები

26. ახალციხის რ. სოფ. ანის კოლმეურნეთა შთაბეჭდილებები ი. ქურხულის მიერ გამართული ლექციის შესახებ.
1946 წ. 17 იანვარი. ხელნაწერი. მელანი. 1 გვ.

27. გორის რ. სოფ. ოხერას კოლმეურნეთა შთაბეჭდილებები ი. ქურხულის მიერ ჩატარებული მუსიკა-მხატვრობის ირგვლივ გამართული ლექციის შესახებ.
1946 წ. 3 აპრილი. ხელნაწერი. მელანი. 1 გვ.

28. გორის რ. სოფ. ხიდისთავის კოლმეურნეთა შთაბეჭდილებები ი. ქურხულის მიერ ჩატარებული ლექციის შესახებ.
პირი: კლარა ბუროვლიგოვა, მიხეილ გულაშვილი.
1946 წ. 4 აპრილი. ხელნაწერი. მელანი. 1 გვ.

29. გორის რ. სოფ. საცხენეთის კოლმეურნეთა შთაბეჭდილებები ი. ქურხულის მიერ ჩატარებული ლექციის შესახებ.
1946 წ. 24 აპრილი. ხელნაწერი. შავი მელანი. 1 გვ.

30. ახალციხის რაიონის სოფელ ანდრიაშვილის კოლმეურნეთა შთაბეჭდილებები, ი. ქურხულის მიერ წარმატებით გამართული ლექციის შესახებ.

1946 წ. 20 აგვისტო. ავტოგრაფი. მელანი. 1 გვ.

31. ახალციხის რაიონის სოფელ მინაძის კოლმეურნება შთაბეჭდილებები ი. ქურხულის მიერ წარმატებით გამართული ლექციის შესახებ.

პირი: კლარა ბუროვლიკოვა, მიხეილ გულაშვილი.

1946 წ. 21 აგვისტო. ხელნაწერი. მელანი. 1 გვ.

32. ახალციხის რაიონის სოფელ ღრეულის კოლმეურნება სახელით დიმიტროვის შთაბეჭდილებები, ი. ქურხულის მიერ წარმატებით გამართული ლექციის შესახებ.

1946 წ. 21 აგვისტო. ხელნაწერი. მელანი. 1 გვ.

33. ცხაგაიას რაიონის სოფელ აბის კოლმეურნება შთაბეჭდილებები, ი. ქურხულის მიერ წარმატებით გამართული ლექციის შესახებ.

1946 წ. 24 აგვისტო. ხელნაწერი. მელანი. 1 გვ.

34. აბასთუმანის №1 სანატორიუმის დირექციის შთაბეჭდილებები, ი. ქურხულის მიერ წარმატებით გამართული ლექციის შესახებ.

1946 წ. 29 აგვისტო. ხელნაწერი. მელანი. 1 გვ.

35. ადიგენის რაიონის სოფელ ლელოვანის კოლმეურნება შთაბეჭდილებები, ი. ქურხულის მიერ წარმატებით გამართული ლექციის შესახებ.

1946 წ. 1 სექტემბერი. ხელნაწერი. მელანი. 1 გვ.

36. ადიგენის რაიონის სოფელ ლელოვანის 8 წლიანი სკოლის დირექციის შთაბეჭდილებები, ი. ქურხულის მიერ მუსიკასა და მხატვრობის ირგვლივ გამართული ლექციის შესახებ.

1946 წ. 2 სექტემბერი. ავტოგრაფი. მელანი. 1 გვ.

37. სოფელ ვალის საშუალო სკოლის დირექციის შთაბეჭდილებები, ი. ქურხულის მიერ წარმატებით გამართული ლექციის შესახებ.

1946 წ. 7 სექტემბერი. ხელნაწერი. მელანი. ი. ქურხულის მინაწერით. 1 გვ.

38. საქართველოს სხვადასხვა სოფლების კოლმეურნეთა შთაბეჭდილებები, ი. ქურხულის მიერ გამართული ლექციის შესახებ.
1946 წ. ხელნაწერი. მელანი. აკინძული. 5 გვ.
39. გორის რაიონის სოფლების მცხოვრებთა შთაბეჭდილებები, ი. ქურხულის მიერ გამართული ლექციის შესახებ.
1946 წ. ხელნაწერი. მელანი. აკინძული. 1 გვ.
40. სტალინირის რაიონის სოფლების მცხოვრებთა შთაბეჭდილებები, ი. ქურხულის მიერ წარმატებით გამართული ლექციის შესახებ.
1946 წ. ხელნაწერი. მელანი. ფანქარი. აკინძული. 14 გვ.
41. საჩხერის რაიონის სოფლების მცხოვრებთა შთაბეჭდილებები, ი. ქურხულის მიერ წარმატებით გამართული ლექციის შესახებ.
1946 წ. ხელნაწერი. ნაბეჭდი. მელანი. აკინძული. 6 გვ.
42. ჭიათურის რაიონის მცხოვრებთა შთაბეჭდილებები, ი. ქურხულის მიერ წარმატებით გამართული ლექციის შესახებ.
1946 წ. ხელნაწერი. ნაბეჭდი. მელანი. აკინძული. 7 გვ.
43. ახალციხის რაიონის მცხოვრებთა შთაბეჭდილებები, ი. ქურხულის მიერ წარმატებით გამართული ლექციის შესახებ.
1946 წ. ხელნაწერი. შავი, ლურჯი მელანი. აკინძული. 17 გვ.